პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 297 (20643) — ოთხშაბათი, 27 დეკემბერი, 1989 წელი. — ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტვის კომპარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1989 წლის 26 დეკემბრის დადგენილება

1. მთლიანად მოწონებულ იქნეს შეფასებები და დასკვნები, რომლებსაც შეიცავს პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი გამოთქვამს რწმენას, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, მშრომელები გაგებით მოეკიდებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის შეფოთებას, რომელიც ლიტვის კომპარტიაში შექმნილმა მდგომარეობამ გამოიწვია.

2. პლენუმს საჭიროდ მიაჩნია მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების შეფასებები და დასკვნები გააცნონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყველა წევრს, ქვეყნის მშრომელთა ფართო მასებს. პლენუმის მასალების მიხედვით პოლიტიკურ მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა და წევრობის კანდიდატებმა, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრებმა, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველმა მდივნებმა, მთელმა პარტიულმა აქტივმა.

3. საჭიროდ იქნეს მიჩნეული, რომ პლენუმის მონაწილეთა ჯგუფი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისა და წევრობის კანდიდატების, ცენტრალური კომიტეტის მდივნებას, ლიტვის სსრ ... წევრებისა და წევრობის კანდიდატების შემადგენლობით გაემგზავრონ ლიტვაში, რათა შეხვდნენ რესპუბლიკის კომუნისტებს, პარტიულ ორგანიზაციებს, რესპუბლიკის შრომითს კოლექტივებს.

პლენუმს ასევე მიზანშეწონილად მიაჩნია ლიტვაში გაემგზავროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

4. ამ მუშაობის შესრულების შემდეგ განახლდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომა და მიღებულ იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1989 წლის 26 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმზე გრძელდებოდა ლიტვის კომპარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

პლენუმის დადგენილების პროექტის შემმუშავებელი კომისიის სახელით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. მედვედევი.

პლენუმზე გამოვიდნენ: ვ. ა. კოპტიუგი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების თავმჯდომარე, ი. ა. პროკოფიევი — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ნ. შვედი — ლიტვის კომპარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის მდივანი (სკკპ პლატფორმით), პარტიის ვილნიუსის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი, ი. ი. კუოლიალისი — ლიტვის კომპარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის მდივანი (სკკპ პლატფორმა), ლიტვის სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მრჩეველი, რ. ნ. ნიშანოვი — სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, გ. პ. ბოგომიაკოვი — სკკპ ტიუმენის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. ა. ზაიკაუსკასი — ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი, ვ. მ. ნიკიფოროვი — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ს. ა. გედრაიტისი — ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი, ე. ე. სოკოლოვი — ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ა. ჯარიმოვი — სკკპ ადიღეს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, კრასნოდარის მხარე, ვ. ს. ასტრაუსკასი — ლიტვის სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ვ. ვ. კარპოვი — სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, ბ. კ. პუგო — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, ბ. ნ. ელცინი — სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ე. ი. სიზენკო — რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ვ. ი. მირონენკო — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გ. ვ. ნოვოჟილოვი — მოსკოვის ს. ვ. ილიუშინის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის გენერალური კონსტრუქტორი, ვ. გ. ზახაროვი — რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ი. პ. პოგრებნიაკი — უკრაინის კომპარტიის ლვოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, მ. ა. ულიანოვი — რუსეთის სფსრ თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ვ. მ. მიშინი — საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი, ნ. კ. ზადოია — უკრაინის კომპარტიის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. მ. ფატეევი — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, ტ. გ. ივანოვა — რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

პლენუმმა განსახილველი საკითხის გამო მიიღო დადგენილება, რომელიც პრესაში იბეჭდება.

დასასრულ პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

პარტიის ერთიანობა გარდაქმნის ბედია

მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1989 წლის 25 დეკემბერს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დღეანდელი პლენუმი პირდაპირ უკავშირდება დამთავრებულ სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობას. ყრილობას და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს გარდაქმნის გზით ჩვენი ქვეყნის მტკიცე წინსვლისათვის.

გარდაქმნის პროცესების გამო დღეს ჩვენ ალმოვრჩდით, ალბათ, რევოლუციური ცვლილებების ყველაზე პასუხსაგებ ეტაპზე. მეტისმეტად ბევრი რამ ქვეყნის, აქ მცხოვრები ხალხების ბედში დამოკიდებულია ამაზე, თუ როგორ ვიმოქმედებთ სწორედ ახლა, როცა ვახორციელებთ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ეს განსაზღვრავს სწორედ იმ უაღრესად პასუხსაგებ როლს, რომელიც ამ დროს უნდა შეასრულოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ. ცხადია: იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, როგორც პოლიტიკური ავანგარდი, ამოცანათა სიმაღლეზე იყოს, იგი თვითონ უნდა განახლდეს, შეუსაბამოს თავისი სტრუქტურები, მუშაობის მეთოდები და ტონი ახალ ამოცანებს.

ყოველივე ეს — გარდაქმნის მიმდინარეობა, შეფასებანი, სამომავლო დასკვნები, პარტიული შშენებლობის, პარტიის დემოკრატიზაციის საკითხები — კომუნისტებს, მთელი ჩვენი საზოგადოების ყურადღების ცენტრში იქნება ყრილობისწინა პერიოდში და თვით სკკპ XXVIII ყრილობაზე. მაგრამ უკვე ახლა ცხადია — ჩვენ განსაკუთრებით გვჭირდება შეკავშირება, ერთიანობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში და გარდაქმნის მიზნების ბაზაზე.

სწორედ ამ დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი პლენუმი, რათა განიხილოს ჩვენი პარტიისათვის უჩვეულო სიტუაცია. როგორც მოგეხსენებათ, ლიტვის კომპარტიის ახლახან გამართულმა XX ყრილობამ მიიღო „დეკლარაცია ლიტვის კომუნისტური პარტიის დამოუკიდებლობის შესახებ“ და დადგენილება „ლიტვის კომპარტიის სტატუსის შესახებ“. მიღებულია აგრეთვე ლიტვის კომპარტიის პროგრამა და სტატუსი (წესდება).

ამ დოკუმენტში განცხადებულია, რომ ტერიტორიული ორგანიზაციის უფლებებით ლიტვის კომპარტიის დღემდე არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება რესპუბლიკის კომუნისტთა უმრავლესობის მისწრაფებას დამოუკიდებლად წყვეტდეს პარტიის საქმიანობის საკითხებს და მონაწილეობდეს ლიტვის ცხოვრებაში. ყრილობამ გამოაცხადა, რომ სკკპ ლიტვის რესპუბლიკური ორგანიზაცია ლიტვის დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია ხდება. მთავარ მიზნად მას მიაჩნია დამოუკიდებელი დემოკრატიული ლიტვის სახელმწიფოს შექმნა. რეორგანიზებული კომპარტია აპირებს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, ისევე როგორც სხვა პარტიებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოძრაობებთან თავისი ურთიერთობა დაამყაროს თანასწორუფლებიან პარტნიორულ საწყისებზე, თანაც ამ ურთიერთობის ხასიათი და შინაარსი დამოკიდებული იქნება იმაზე, ლიტვის კომუნისტური პარტიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების რა გაგებას გამოიჩენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

ლიტვის კომპარტიის XX ყრილობის რეზოლუციაში „ლიტვის კომპარტიის სტატუსის განხორციელების შესახებ“, კერძოდ, ნათქვამია: „ლიტვის კომპარტიის XX ყრილობამ სკკპ წესდების საფუძველზე როგორც უმაღლესმა ორგანომ 1989 წლის 20 დეკემბრის არჩეული დელეგატების ხმის უმრავლესობით მიიღო დეკლარაცია ლიტვის კომპარტიის დამოუკიდებლობის შესახებ და დადგენილება „ლიტვის კომპარტიის სტატუსის შესახებ“. ეს დოკუმენტები სკკპ წესდებით საკადრებულოა პარტიული ორგანიზაციების ყველა წევრისათვის“. ჩაუფიქრდით, რა რთულად არის ყველაფერი. სკკპ წესდების საფუძველზე, სკკპ წესდების ძალით მოწვეულმა ყრილობამ ამავე დროს ლიტვის კომპარტია გამოაცხადა დამოუკიდებლად, ესე იგი მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ძირფესვიანად ეწინააღმდეგება სკკპ წესდებას.

„ლიტვის ყველა კომუნისტი, რომლებიც აღრიცხვაზე არიან ლიტვის კომპარტიის ორგანიზაციებში, ლიტვის კომპარტიის წევრებს წარმოადგენენ. ლიტვის კომპარტია კვლავაც ფლობს, ისარგებლებს და განაგებს სკკპ ყოფილი ლიტვის ორგანიზაციის ქონებას. ყრილობის მიერ ლიტვის კომპარტიის სტატუსისა და პროგრამის დამტკიცების შემდეგ მიმდინარე წლის 21 დეკემბრიდან ლიტვის კომპარტიის ორგანიზაციებში ძალა დაკარგეს სკკპ პროგრამამ და წესდებამ“. გამოდის ისე, რომ სკკპ საპროგრამოსაწესდებო დოკუმენტებს უარყოფენ, მაგრამ ყრილობის გადაწყვეტილებათა სავალდებულოობა მიუხედავად ამისა სწორედ მათ ეფუძნება.

„ლიტვის კომპარტიის XX ყრილობაზე მიღებული დოკუმენტების საფუძველზე პირველადი პარტიული ორგანიზაციები ან მათში ჩამოყალიბებული კომუნისტთა საინიციატივო ჯგუფები 1990 წლის 1 მარტამდე გარდაქმნიან ორგანიზაციების სტრუქტურასა და საქმიანობას ლიტვის კომპარტიის სტატუსით გათვალისწინებული წესით. გარდაქმნის, პარტიის კონკრეტული ორგანიზაციული საქმიანობის ყველა დანარჩენი საკითხის გადაწყვეტას ლიტვის კომპარტიის სტატუტის ფარგლებში ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ითვალისწინებს 1990 წლის 1 თებერვლამდე“.

ყრილობამ მიიღო მომართვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისადმი, რომელშიც, კერძოდ, წათქვამია: „ლიტვის კომუნისტები ეძიებენ გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან, ეძიებენ საკუთარ გადაწყვეტებს, მოუწოდებენ ყველას დაიჩქარონ გარდაქმნა, ბრძოლაში მართონ თავიანთი ნომაღლი აზვირთებული პოლიტიკური მოვლენების ვითარებაში, შეიტანონ თავიანთი წვლილი საერთოევროპული სახლის შექმნაში. ჩვენს თვითგამორკვევას მბარს უჭერს საზოგადოება, იწონებს კომუნისტთა უმრავლესობა. ისინი ვალავ ჩვენთან ერთად არიან, იზიარებენ ჩვენს იმედებს, ჩვენს აშკარა, საჯარო და არაორაზროვნად პროგრამას, რომლის ყურადღების ცენტრშია ადამიანი, ჰუმანიზმი, დემოკრატია, სოციალიზმი. ჩვენს მოქმედებაში არ არის არავითარი გამთიშველური განწყობილება, ეკეთური ზრახვები. ჩვენ აშკარად ვაცხადებთ, რომ გვინდა ჩვენი შრომა შევინარჩუნოთ, გვსურს ვიყოთ დამოუკიდებელი, წმინდა და პატიოსანი, ეზელმძღვანელობდეთ მაღალი კომუნისტური პრინციპებით, რომლებიც იძლევა ერთი თვითგამორკვევის უფლების გარანტიას. ლიტვის კომუნისტებს კარგად ესმით, როგორ უჭირთ ახლა გარდაქმნის ლიდერებს, ყველას, ვინც მბარს უჭერს მას. ისინი აგრეთვე იმედოვნებენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტები გაიგებენ და მბარს დაუჭერენ ჩვენს მისწრაფებას — ვიმოქმედოთ არასტანდარტულად, მივიღოთ გაბედული გადაწყვეტილებანი. ასეთი გადაწყვეტილებანი რომ არ მიგვეღო, დავკარგავდით შესაძლებლობას რადიკალურად გავმიჯნოდით სტალინისტურ დოგმებს პარტიასა და საზოგადოებაში. დინამიკურად ცვალებადმა ცხოვრებამ შეიძლება მეტი აღარ მოგვცეს ასეთი შანსი. ჩვენი თვითგამორკვევა არ არის ჩვენი იდეური აზხანაგების გამოწვევა. ჩვენი გზა არ არის ძალთა დაქუცმაცება. ჩვენი გეზი არ არის ხალხის ეროვნებით სპეკულაცია, რომელიც დარწმუნდა გარდაქმნის, დემოკრატიის ცხოველმყოფელ ძალაში. ჩვენი მიზანია დემოკრატიული სოციალიზმი, რომლისკენაც გვიხდა ვიარით საბჭოთა კავშირის ყველა კომუნისტთან ერთად და ჩვენს ურთიერთობას საუოვლად დაეფუძნოთ თანასწორუფლებიანი პარტნიორობის პრინციპები, გარდაქმნის საერთო სტრატეგია“.

მინდა აგრეთვე წარმოგიდგინოთ კიდევ ერთი ინფორმაცია. სახელდობრ: ლიტვის კომპარტიის XX ყრილობის დროს მისი დელეგატების ჯგუფმა, რომლებიც ან ეთანხმებიან ლიტვის კომპარტიის დამოუკიდებელ სტატუსს, მოაწყვეს ლიტვის კომპარტიის კონფერენცია.

რესპუბლიკური პრესის, საინფორმაციო ცხობაში აღნიშნულია, რომ „მის სხდომებში მონაწილეობა მიიღეს 144 დელეგატმა, აგრეთვე ვილნიუსისა და კაუნასის, სასოფლო რაიონების მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. კონფერენციის დელეგატებმა, რომლებიც განახლებადი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემადგენლობაში ლიტვის დამოუკიდებელი კომპარტიის პოზიციებზე დგანან, მიიღეს დადგენილება და მიმართვა რესპუბლიკის კომუნისტებისადმი. სკკპ წესდების მოთხოვნასთან შესაბამისად აირჩიეს ლიტვის კომპარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტი 58 კაცის შემადგენლობით და ლიტვის კომპარტიის დროებითი სარევიზიო კომისია 7 კაცის შემადგენლობით. ამით კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა. შემდეგ გამართულმა ლიტვის კომპარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის პირველმა პლენუმმა ლიტვის კომპარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის მდივნებად აირჩია ამხანაგები მ. ბუროკაკვიჩიუსი, ვ. კარადამანიჩიუსი, ი. კუოლიალისი და ვ. შვედი. ლიტვის კომპარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებად არჩეულნი არიან ამხანაგები ვ. ანტონოვი, ო. ბურდენკო, ჩ. ვისოცკი, ი. გურეცკასი, ი. ერმალავიჩიუსი, ა. კულაკოვი, პ. სტაშკუნასი“.

ყრილობაზე საბოლოო სიტყვაში ბრაზაუსკასმა აღნიშნა, რომ მან ასევე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის მონაწილეთა მხრივ მომზდარი ამბების საღი შეფასების იმედი, „რადგან ლიტვის კომპარტიის გადაწყვეტილება რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის ობიექტური ასახვაა, კომუნისტებისა და ლიტველი ხალხის უმრავლესობის ნებასა და მისწრაფებებს გამოხატავს, და არა რაღაც ამბიციური მისწრაფებების შედეგია“. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლიტვის დამოუკიდებელი კომპარტიის შექმნა არ ნიშნავს კავშირის გაწყვეტას საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, და იმედოვნებს, რომ ამას სწორად გაიგებენ და შეაფასებენ პლენუმზე.

ერთი სიტყვით, ყრილობის საპროგრამო დოკუმენტებში, პოლიტიკურ მოხსენებაში მიღებული ღონისძიებანი გაგებულია როგორც არსებითი წვლილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩვენი კავშირის განახლებაში. მაგრამ თუ საგნებს თავის სახელს დავარქმევთ, გადაიდგა ნაბიჯი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან ორგანიზაციული და პოლიტიკური მოწყვეტისათვის. ასეთი გადაწყვეტილება შორს სცილდება შინაპარტიული ურთიერთობის ფარგლებს. არსებითად ლახვარი ეცემა პოლიტიკურ რეფორმას, ჩვენს იმედებსა და გეგმებს ჰუმანიზმისა და დემოკრატიის სულისკვეთებით სოციალისტური საზოგადოების განახლებაში. ეს გადაწყვეტილებანი პროვოკაციულად იწვევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისეთ რეაქციას, რომელსაც შეუძლია ჩაშალოს გარდაქმნის ბევრი პროცესი. სწორედ ასე, მწვავედ, მაგრამ საერთოდ სამართლიანად ახასიათებენ ლიტველი ამხანაგების პოზიციას ქვეყნის კომუნისტებს ძირითადი მასა, საბჭოთა მოქალაქეები. ყოველ შემთხვევაში ის ინფორმაცია, რომელიც ჩვენ გვაქვს, ამის თქმის უფლებას მაძლევს.

ამ დღეებში ცენტრალურ კომიტეტში მიღებული ათასობით მიმართვა, პარტიული და მუშათა კრებების რეზოლუციები მოითხოვს, რომ ჩვენ პრინციპულად შევაფასოთ ლიტვის ყრილობა, მივიღოთ ენერგიული და ქმედითი ღონისძიებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთიანობის დასაცავად.

ეს რეაქცია გასაგებია. ნაციონალური სეპარატიზმის იდეები ყოველთვის უცხო იყო სოციალისტური ინტერნაციონალიზმის საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს საფუძვლის სულისკვეთებისათვის. მაგრამ საქმე აქ ემოციები როდია, ისინი საუკეთესო მრჩეველად ვერ გამოგვადგება ასეთ საკითხებში. დაგმობასა და გაკიცხვას ჭკუისათვის დიდი ძალის დატანება არ სჭირდება.

მაგრამ დავეთანხმოთ ლიტველ ამხანაგებს — ნიშნავს გავაღრმოოთ გათიშვა, ხელი გკრათ იმ კომუნისტებს, რომლებიც გულწრფელად ერთგულობენ სოციალისტურ იდეალებს, გარდაქმნის მიზნებს, და რომლებსაც, თუმცა ხმა ისა აქვს XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, კვლავ აწვალებთ ფიქრი, სწორია თუ არა გადადგმული ნაბიჯი.

I.

ახლა, ამხანაგებო, მინდა გამოვთქვა აზრი იმ პოლიტიკური ბრძოლის გამო, რომელიც რესპუბლიკაში გაიშალა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე. ეს საჭიროა თუნდაც მოკლედ.

მოვლენათა განვითარებას გარკვეული ლოგიკა ჰქონდა. მიმდინარე პროცესების ხასიათში აისახა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ზოგიერთი ხელმძღვანელის უუნარობა ფლობდეს პოლიტიკურ სიტუაციის ლიტვაში, გაეკონა ახდენილს მასზე, ახორციელებდეს გარდაქმნისათვის გამიზნულ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კურსს. ეს იყო, ამას წავაწყდით, ეს ფაქტია. ნაცვლად იმისა, რომ წარმართა საფუძვლიანი მუშაობა, პრინციპული დიალოგი, გაეერთიანებინა ძალები პლატფორმით, რომელიც ნამდვილად შეესაბამება ლიტველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამ გადაუთვია პარტიელ გეზს, დაადგა შეთანხმებლობისა და ნაციონალისტურ, სეპარატისტულ ძალებთან აშკარა ლაციცის, პარტიული რიგების დაქუცმაცების გზას.

გარდაქმნის საწყის ეტაპზე მთელი ოპოზიციური „მხედრობა“ რესპუბლიკაში რამდენიმე ათეულ კაცს შეადგენდა. მათი პოლიტიკური ამბიციები მაშინ არ ვრცელდებოდა ლეგალიზაციის, ნაციონალისტურ განწყობილებათა გავრცელების გზაზე პოპულარობის მოპოვებისადმი მისწრაფების იქით. მაგრამ შემდგომში ოპოზიციური ძალების აქტიურობა ძლიერდებოდა. ოპოზიციამ გამოიყენა საზოგადოებრივი პროცესების მძაფრი დინამიკა და შეეწყო გარდაქმნის ლოზუნგებს, მიზნად დაისახა სოციალიზმის დისკრედიტაცია.

ამ მოვლენის საშიშროება დროულად ვერ შენიშნეს და ღირსეულად ვერ შეაფასეს. ამ მომენტიდან დაიწყო კომპარტიის ლიდერობის პოზიციათა დაკარგვა. საზოგადოებრივი სტაბილურობის მდგომარეობა ჯეროვნად ვერ გამოიყენეს მოქმედების კონსტრუქციული პროგრამის შესამუშაებლად. ლიტვის კომპარტიის ხელმძღვანელობის ინერტულობა, პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში უძირობა წარმომობდა მოსახლეობის უკმაყოფილებას. ეს მარჯვედ გამოიყენეს ანტისოციალისტურმა და ცრუმემარცხენულმა ძალებმა, რომელთა ძალისხმევით რესპუბლიკაში იქმნებოდა სხვადასხვა მიმართულების მრავალრიცხოვანი. პოლიტიზებული გაერთიანებანი.

განსაკუთრებით ძლიერ გამოავლინა თავი „საიუდისმა“, რომელიც ცნობილი შემოქმედებითი და მეცნიერი მუშაკების, პარტიის წევრების აქტიური მონაწილეობით შეიქმნა. პარტიულ მუშაობაში შებოჭილობამ, ძველი შაბლონებითა და საზომებით მოქმედებამ კომუნისტებს არ მისცა შესაძლებლობა მამოძრავებელი ძალა გამხდარიყვნენ „საიუდისში“. 1988 წლის ოქტომბერში ლიტვის კომპარტიის ხელმძღვანელების შეცვლა რეალურ შანსს იძლეოდა დამკვიდრებული შეცდომებიდან დასკვნების გამოტანისათვის, გაღრმავებული კრიზისიდან გამოსავლის პროცესის დაწყებისათვის პარტიისა და საზოგადოების ჯანსაღ ძალებზე დაყრდნობით. მაგრამ ეს არ მომხდარა. სინამდვილეში ამხანაგი ბრაზაუსკასი და აპარატი, მისი ხელმძღვანელობით სხვა უკიდურესობაში გადავარდნენ. აირჩიეს დაშშმინების, „საიუდისის“ სულ უფრო მკაცრი მოთხოვნებისადმი უსასრულო დათმობების გეზი. ყოველივე ამან მხოლოდ გაძლიერა იქ შექმნილ მემარჯვენულ განწყობილებათა პოლიტიკური ამბიციები. მეტისმეტად საზიანო გამოდგა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე პარტიის გავლენის დაკარგვა. ამ პოზიციების მოპოვების კვალობაზე „საიუდისი“ სულ უფრო მეტად ადგებოდა კონფორნტაციის, რეალური ძალაუფლებისათვის ბრძოლის გზას.

მთელი ამ პერიოდის მანძილზე რესპუბლიკის კომუნისტების მნიშვნელოვანი ნაწილი სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამდა მდგომარეობის განვითარების გამო. ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისამართით ამხანაგურ კრიტიკას გამოთქვამდა სკკპ ცენტრალური კომიტეტიც. მისი გავლენით 1989 წლის თებერვალში მოწვეული იყო ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმი. მისი მონაწილეების გამოსვლებში პრინციპული შეფასება მიეცა რესპუბლიკაში და მის პარტორგანიზაციებში შექმნილ ვითარებას. თავისი სახელი დაერქვა საზოგადოებაში მიმდინარე ნეგატიურ მოვლენებს, მკაფიოდ განისაზღვრა მისი დამღუპველი შედეგები. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებდა, რომ პლენუმის გადაწყვეტილებანი შეიძლებოდა გამხდარიყო ჯანსაღი ძალების კონსოლიდაციის საიმედო პლატფორმა, გამოესწორებინა წინასაარჩევნო ბრძოლის ხარვეზები.

იმ პერიოდის ვითარების შესწავლა მოწმობს „საიუდისის“ მეგმარჯვენე-რადიკალური ფრთის სერიოზულ შეშფოთებას თავისი პოლიტიკის ბედისათვის. მათ ყველაზე მეტად აშინებდათ ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკაში გაშლა.

მაგრამ ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის ან ეყო სიმტკიცე და პრინციპულობა გადასულიყო ეირიშზე. ორგანიზაციულ-პოლიტიკური დაშლა ვანსაკუთრებით გაძლიერდა მარტის არჩევნებში „საიუდისის“ გამარჯვების შემდეგ. 1989 წლის აპრილში წარმოებებით ფრთაშეუსმენლობა „საიუდისმა“ სეიმის მეოთხე სესიაზე მიიღო რეზოლუცია ლიტვის კომპარტიის დამოუკიდებლობის შესახებ. აი, არსებითად, ვის რეზოლუციას ასრულებდა სწორედ XX ყრილობა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამარჯვებულ ლ ე ბ მ ა „მწვანე გზა“ გაუხსნეს ანტისოციალისტურ კამპანიას. ძლიერდებოდა ნაციონალისტური ყაიდის მოძრაობებსა და ორგანიზაციებში კომპარტიის ნაწილის გთქვეფის პროცესი. მკვეთრად დაქვეითდა პარტიული დისციპლინა. აშკარად გაიზარდა ეროვნული ყოყოჩობის, შოვინიზმის გამოვლენებანი სხვა ხალხების მიმართ.

ასეთ პირობებში ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელები და, უწინარესად, ამხანაგები ბრაზაუსკასი და ბერიოზოვი, უფრო შორს წავიდნენ პრინციპული პოზიციების დათმობაში. ცენტრალური კომიტეტის ფაქტობრივი მხარდაჭერით რესპუბლიკაში მიღებულია მთავრობის მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები და დადგენილებანი, რომლებიც ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კონსტიტუციას, მიზნად ისახავს სსრ კავშირთან ფედერაციული ურთიერთობის გაწყვეტას. ამავე დროს უგულებელყოფდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მხრივ არაერთგზის, ვიმეორებ, არაერთგზის გაფრთხილებას აღებული კურსის შედეგების გამო.

განცალკევების განწყობილებანი მოედო ბევრ საზოგადოებრივ ორგანიზაციას. მაგალითად, თვრამეტი პროფესიული და შემოქმედებითი კავშირის, რესპუბლიკის სხვა საზოგადოებრივი ეიერთიანებების ყრილობებმა მიიღეს გადაწყვეტილებანი საერთო-საკავშირო სტრუქტურებისაგან გამოყოფის შესახებ. საკავშირო ალკკ-დან გავიდა დამოუკიდებელ ორგანიზაციად თავისი პროგრამითა და წესებით ლიტვის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი.

ამავე დროს იქმნება ბურეუაზიული ყაიდის პოლიტიკური ფორმირებანი. გამოცხადებულია სოციალ-დემოკრატიული პარტიის, ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიის, აგრეთვე კიდევ შვიდი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა. მიმდინარეობს პარტია „ტაუტინინკის“ აღდგენა, რომელმაც, თავად ლიტველი ამხანაგების აღიარებით, 1926 წელს მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება და დაამყარა ავტორიტარული რეჟიმი. ყველა ეს პოლიტიკური ფორმირება ქადაგებს სეპარატისტულ იდეებს, სახელს უტეხს სოციალიზმს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებს. მიმდინარეობს კათოლიკური ეკლესიის პოლიტიზაცია, რომლის გამოყენებასაც ცდილობენ ანტისოციალისტური ძალები.

ასეთ ვითარებაში, როცა საჭირო იყო პარტიული პრინციპულობის მაქსიმალური გამოვლენა, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა ფაქტობრივად დაადგა პოლიტიკური დრეიფის, სამიტინგო განწყობილებების პასიურად აყოლის პოზიციას. მოხდა ის, რომ სრული უარი თქვეს საკუთარი პლენუმების გადაწყვეტილებებზე, რომლებზეც სულ ცოტა ხნის წინათ რეალური შეფასება ეძლეოდა მოვლენათა მიმდინარეობას.

რესპუბლიკური ხელმძღვანელობის ასეთმა არათანამიმდევრულობამ ააფორიაქა ბევრი კომუნისტი, წინ წასწია იდეურ-პოლიტიკური შეხედულებებისა და ეროვნული ნიშნის მიხედვით პარტიულ ორგანიზაციათა, მშრომელთა გამიჯვნის პროცესი. გაძლიერდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებიდან გასვლა. მიმდინარე წლის დამდეგს 6.500-ზე მეტმა კაცმა ჩააბარა პარტიული ბილეთები, პარტიაში შევიდა სულ მხოლოდ 824 კაცი, რაც ხუთჯერ და მეტად ნაკლებია შარშანდელთან შედარებით. ამასწინანდელი ანგარიშგება-არჩევნების დროს მოხდა ძირეული პარტიული რგოლების შეძლირება. მნიშვნელოვნად დასუსტდა პარტიული გავლენა რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში. ახლად არჩეულ პარტიულ ხელმძღვანელთა შორის მკვეთრად შემცირდა მუშათა და კოლმეურნეთა რიცხვი.

ამავე დროს კომუნისტებს, რომლებიც არ ეთანხმებიან „სრული დამოუკიდებლობის“ კურსს, ფარავენ გარდაქმნის მოწინააღმდეგეების ან ერის მტრების იარლიყებს. სხვადასხვა საბაბით ცდილობენ ისინი ჩამოიცილონ პოლიტიკურ მუშობას. ასეთი მიდგომა პარტიულ, საბჭოთა-სამეურნეო აქტივში იწვევს დაბნეულობას, ხვალინდელი დღისადმი ურწმუნობას.

სხვათა შორის, ამას წინათ მიეცა ხელმძღვანელი კომუნისტების ამხანაგების ასტრაუსკასისა და საკალაუსკასის — ესენი არიან რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — განცხადება იმის შესახებ, რომ მათ არ შეუძლიათ მუშაობა ურთულეს სიტუაციაში. საქმე არასასურველი კადრების მასობრივი შეცვლისაკენ მიდის. ამას წინათ ვილნიუსში გაიმართა პარტიის საქალაქო კომიტეტის აპარატის პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს სხდომა, რომ

მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება

(დასასრული)

ეს მთლიანად გამოვლინდა ყირიმობის მუშაობის დროსაც, როცა ჟენშარიტებაზე მონოპოლია სცადეს დაეჩემებინათ სეპარატისტულ შეხედულებათა მომხრეებს. საკუთარივ, უნდა ითქვას, რომ გამოსვლებიც იმდაგვარად რეგულირდებოდა, რომ ნამდვილად პრაქტიკულად არ გაისმოდა ხმა, რომელშიც სხვა წინადადებებიც იქნებოდა და განსჯისათვის მოიწოდებდათ.

არჩეულ დელეგატებზე ახდენდნენ მასირებულ პერსონალურ ზეგავლენას. მიღებული ზომების მიუხედავად, თვით რადიკალური საიუდისტების შეფასებით, ყირიმის დაწყებამდე მათი აშკარა მომხრე არჩეული დელეგატების 50 პროცენტს არ აღემატებოდა. მაშინ შეიმუშავეს დაგეგმილ გადაწყვეტილებათა გატანის ტაქტიკური გეზი. დელეგატებზე დამატებითი ზეგავლენის საშუალებად იყენებდნენ ჟრნციპულ საკითხებზე სახელობითი კენჭისყრის ტაქტიკას. კომპარტიის სტატუსის შესახებ სახელობითი კენჭისყრის შემდეგ ობსტრუქციია მოუწყვიეს იმით, ვინც ხმა მისცა ერთიანობას საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან. მათ გარშემო შეიქმნა უნდობლობისა და შეუწყნარებლობის ატმოსფერო. ცალმხრივი მიდგომა გამოიჩინეს ყირიმის მიერ პირდაპირი კენჭისყრით ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნების არჩევის დროსაც, როცა, ფასებთან, არ დაუშვეს ალტერნატიული არჩევნები.

ყოველივე ამის შედეგად ღონისძიებებს, რომლებსაც ლიტვის კომპარტიის ხელმძღვანელობა განცხადებდნენ, უნდა დაერწმუნათ რესპუბლიკის გარდაქმნის ძალები, მოჰყვა პირდაპირ საწინააღმდეგო შედეგები — პარტიის გათიშვა.

ახლა ისმება კითხვა: რატომ არ შეჩერდა მოვლენების საშიში განვითარება? იკოდა თუ არა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ ლიტვაში შექმნილი ვითარება? რა თქმა უნდა, იკოდა, ამხანაგებო. რესპუბლიკაში სიტუაციის განვითარების, კომუნისტთა ადგილისა და ამოცანების შესახებ აიარებთნელ ყოფილა სხვა-ბაასი რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან. ეს საკითხები ბიუროს ზეგეხილიან პოლიტბიუროში, მათ შორის ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნების არჩევის დროსაც, როცა, ფასებთან, ფასებისა ალტერნატიული ალტერნატიულ ალტერნატიულ ალტერნატიულ

ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ

ვ. ვ. გაკაევის მოხსენება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაპიტალისტებულ ამხანაგო დეპუტატებო!

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, გარდაქმნა პოლიტიკური სამყაროს მთავარი სტრატეგიის კურსი შეუქცევადი გახდა. ამავე დროს უდაოა საზოგადოებაში დაძაბულობის ზრდა. ადამიანებისადმი პირდაპირი ძალადობის აქტიები, ბლოკადები, საპროტესტო დემონსტრაციები და მიტინგები, გაფიცვები ლამის ყოველდღიური მოვლენა გახდა.

მარტო ყოველ თვე იმართებოდა 194 მიტინგი. წელს კი უკვე 2. მარტო თებერვალ-ნოემბრის პერიოდში გაფიცვები მოეწყო 500 საწარმოში 1,4 მილიონი კაცის მონაწილეობით.

ბევრად გაიზარდა სისხლის სამართლის დანაშაული. სულ უფრო მეტად იჩენს თავს სხვადასხვა ფორმის უკანონობა.

ითქოსდა, არაფერი გაკვირვებელია. ხალხის მიერ მოწონებული გარდაქმნა შეუქცევადი გახდა, ხალხში დაძაბულობა კი იზრდება. მაგრამ ასებობს რევოლუციური პროცესები სოციალური დაძაბულობის, გადახვევების, მასების ვიბრაციის დროებითი გაუარესების [illegible]. გარდაჭმნა მშვიდობიანი [illegible]ციაა. ზემოდან დაიწყო, [illegible] ზემოდან მას მძლავრად დაუჭერს მხარი. და ყველა მრავალი წინააღმდეგობა აქ შეიძლება აღმოფხვრას დემოკრატიისა და საპარლამენტო ბრძოლის ფარგლებში.

ქვეყანას აქვს პერსპექტივა. მაგრამ თავშეკავება, პასუხისმგებლობა გვჭირდება. ახლა გაუწონასწორებულობის, დაძაბულობის, საზოგადოებაზე, ეკონომიკაზე ძველი და ახალი ფორმების ერთდროული ზემოქმედების პირობებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს არ დაკარგოთ ინიციატივა და პერესტაკეტა, თავი შეიკავოთ ოფოლგვარი ნაბიჯებისგან, რომლებიც საზოგადოებისა და სახელმწიფოს დესტაბილიზაციას მოახდენენ.

მიგიუახლოვდი რა უშუალოდ [illegible]ნების თემას, უფლება არა [illegible]ნდი. ეს არ მეთქვა, რადგან [illegible]ტაბილურობის შენარჩუნების [illegible]თავარი გარანტი შეიძლება იყოს [illegible] სამართალდაცვითი ან ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა, არამედ მხოლოდ აქტიური, [illegible]ნასწორებული ხელშემწყობი პოლიტიკური ინიციატივა, რომელიც [illegible]ოულად წარმართავს დაძაბულობასა და წინააღმდეგობებს საზოგადოებაში კონსტრუქციული, [illegible]ნსოლიდირებელი კალაპოტით.

[illegible] ყველაზე საშიში, ყველაზე [illegible]ნთვითარებული ორგანიზებული [illegible]ორმების მქონე დანაშავეობის, [illegible] მთლიანად დამნაშავეობის [illegible]ნააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ყოველ ღონისძიებას შედეგი [illegible] მაშინ ექნება, თუ გაერთიანდება ზოგადპოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, მორალურ-ზნეობრივი გარდაქმნები.

[illegible] მაინც, საბჭოთა ადამიანებისა [illegible] მათი ინტერესების გამომხატველ დეპუტატებს შეშფოთება, [illegible] დაუყოვნებლივ, მტკიცედ დავუპირისპირდეთ დანაშაულებრივ სამყაროს, სავსებით საფრთხეშია. მათ სავსებით იზიარებენ მთავრობა და სისხლის სამართლის იუსტიციის ორგანოების [illegible] სისტემა.

[illegible]ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა [illegible]ანაშაეობა.

[illegible] ოდნავ უნდა გადავუხვიო. [illegible] ამ საკითხზე ორი უკიდურესი თვალსაზრისი. პირველი ყველაზე გავრცელებულია. მასში ჭარბობს ემოციები, რიხიანი სლოგანები, დატაცებების ფანტასტიური ციფრები, სისასტიკეთ, ძალადობრივი ტკბობა. აქვეა არაორიგინალური, ზოგჯერ კი უბრალოდ დაუმტკიცებელი მტკიცებანი. ერთი სიტყვით, ფსიქოზის [illegible]ვაება.

[illegible]ეორე თვალსაზრისის წარმოადგენლებს, პირიქით, მიაჩნიათ, რომ არაფერი ზებუნებრივი არ [illegible]ფება. ყველაფერი კანონზომიერია. დანაშავეობის პირველი ტალღა როდია ჩვენს ისტორიაში. [illegible] ფსიქოზზე ვლაპარაკობთ, ეს [illegible]ტომ, რომ მილიცია სპეციალურად გვაშინებს, რათა სახელმწიფოს წაგლიჯოს რაც შეიძლება მეტი სახსრები და კვლავ დავუბრუნდეთ უკანონობას.

[illegible] ერთი და არც მეორე სწორი არ არის. უკიდურესობებს არ [illegible]ნდა მივეცეთ. დიახ, მართლაც, [illegible]ანაშაეობის დონე 1989 წელს [illegible] ჩვენში უფრო დაბალი იქნებ[illegible], ვიდრე მაღალგანვითარებულ [illegible]კაპიტალისტურ ქვეყნებში. არც [illegible]ეს მაღალია კრიმინალური [illegible]ტატისტიკის მთელ ისტორიაში. [illegible]გრამ ვითარება მეტად სერიოზ[illegible]ულია.

[illegible] ეკვე ძნელია იმის უარ[illegible], რომ აშკარად მოუმზადებ[illegible] ამომჩნევა სამართალდაცვი[illegible] სისტემა დანაშავეობის ზრდის [illegible]ელზე სწრაფი ტემპის მიმართ. [illegible]ნი ზრდებოდა თვიდან თვემდე [illegible] 1988 წელს. მიაღწია მაქსიმუმს [illegible]ბდინარე წლის იანვარში. და მთელ [illegible] წელი სტაბილურად არის 33-[illegible] 34 პროცენტის დონეზე.

[illegible]ზეზების ანალიზი წარმოებისა [illegible] განაწილების სფეროში კრიზისული მოვლენების, ეკონომიკურ, [illegible]ლიტიკურ, სოციალურ განვითარებაში მზარდი დისპროპორციების ანალიზში უნდა ვეძიოთ. [illegible]ერთვეთ იმაში, რომ სრულიად [illegible]ონზომიერად დაიმსხვრა იმის [illegible]ედები, რომ მარტოოდენ ჰუმანიზაციის გზით, მარტოოდენ [illegible]ისლის სამართლებრივი რეგარგების ეკონომიის გზით, სოციალური ადაპტაციისა და რეაბილიტაციისათვის ხარჯების გაუღებლად უკეთეს გზაზედ დამნაშავეობის მზარდი ტალღები.

[illegible] მიმდინარე წელს პოზიცია ნაწილობრივ შეიცვალა — მთავრობა [illegible]ადგა სისხლის სამართლის იუსტიციის ორგანოების გაძლიერების კურსს. მაგრამ ეს ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მნიშვნელოვან რესურსებს მოითხოვს. [illegible] დეპუტატებს აქვთ სტატისტიური მასალა. მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო მხოლოდ იმას, [illegible] ბეგატიური ცვლილებანი მოხდა დანაშავეობის ხარისხობრივ [illegible]ასიათებელშიც. მან შეიძინა [illegible]ფიოდ გამოხატული ანგარებითი-[illegible]ამომძალველობითი მიმართულება. ყაჩაღობამ, ძარცვამ, ქურდობამ, დატაცებამ დანაშაულობათა საერთო რიცხვის ორ მესამედს მიაღწია. მათი ზრდის ტემპმა 60-75 პროცენტს გადააჭარბა. ისინი განსაკუთრებით დიდია მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, სოლო ცენტრებსა და მსხვილ ქალაქებში. ანგარებითი მოტივები ჩვეულებრივი მოვლენა გახდა მკვლელობათა ჩადენის დროსაც.

ლოთობის ზრდის განახლებასთან ერთად კვლავ იზრდება ამ მოვლენასთან დაკავშირებული დანაშავეობა.

21 პროცენტით მეტი დანაშაული ჩაიდინეს არასრულწლოვანებმა. დღეს უნდა შევეხოთ ორგანიზებულ დანაშავეობას. დანაშავეობა არასრულწლოვანთა შორის, მკაცრად რომ ვთქვათ, სხვა თემაა. მაგრამ, თუ საზოგადოება სერიოზულად აპირებს ხელი მოჰკიდოს დანაშავეობის ყველაზე საშიშ ფორმებს, უნდა დაიწყოს სწორედ ამით — იმ მრავალი მიზეზის აღმოფხვრით, რომლებიც ყმაწვილს დანაშაულში ითრევენ. დღეს 17 წლის ყმაწვილებს შორის დანაშავეობის დონე ოთხჯერ უფრო მაღალია, ვიდრე იმათ შორის, ვინც ოცდაათ წელს არის გადაცილებული. მაგრამ ყველაზე საგანგაშო ის არის, რომ ეს პროცესი მეტად დინამიკურია.

იზრდება ბოროტმოქმედთა აგრესიულობა და სისასტიკე, მათი წინააღმდეგობა მართლწესრიგის ძალებისადმი. მარტო 1989 წლის ცხრა თვეში დანაშაულთა აღკვეთისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს 146 თანამშრომელი დაიღუპა და 905 დაიჭრა. სამწუხაროდ, ეს გაცილებით მეტია, ვიდრე მთელ 1988 წელს;

გამწვავდა რეციდივული დანაშავეობა. გამოვლენილი რეციდივის ხვედრითი წილი ყოველწლიურად 25-28 პროცენტს შეადგენს. მაგრამ იგი მნიშვნელოვნად მეტია.

ბრძა-გასწორების დაწესებულებებში, სადაც მკვეთრად გართულდა ვითარება, აქკამად იმყოფება 310 ათასი დამნაშავე, რომლებიც ნასამართლევი არიან სამჯერ და მეტად.

აღინიშნება სისხლისსამართლებრივი ელემენტის პროფესიონალიზაცია. მნიშვნელოვანი რაოდენობის პირთა დანაშაულებრივი საქმიანობა ხდება მათი არსებობის ძირითადი წყარო. უნდა ვაღიაროთ, რომ გარკვეულწილად საზოგადოება თავად უწყობს ხელს ამას, როცა ვერ უზრუნველყოფს გარანტირებულ შრომით მოწყობას, და მხოლოდ იფარგლება პატიმრობის ადგილიდან განთავისუფლებულ პირთა ჩაწერით.

ამის შედეგად ხდება სისხლისსამართლებრივი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების აღორძინება. მათ პრაპაგანდას უწევენ და აქტიურად ნერგავენ ახალგაზრდობაში.

დანაშავეობის სწრაფი ზრდა და მისი სტრუქტურის თვისებრივი ცვლილებები, რომლებიც განპირობებულია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში წინააღმდეგობის გამწვავებით, ზნეობის დაცემით, კანონმდებლობის დაუხვეწობით და სამართალგამოყენებით პრაქტიკაში სერიოზული ნაკლოვანებებით, ბუნებრივია, იწვევს დანაშავეობის, როგორც სოციალური მოვლენის განვითარების პროცესების დაჩქარებას, მისი ყველაზე სახიფათო ორგანიზებული ფორმების უფრო ინტენსიურ ფორმირებას.

აქ კიდევ ერთხელ უნდა შევჩერდე და მოვახსენო დეპუტატებს, რომ ამას ყველა როდი ეთანხმება. გავრცელებულია აზრი, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არის ორგანიზებული დანაშავეობა. ლოგიკა ასეთია. ნებისმიერი დანაშაული, რომელიც ხდება ქვეყანაში, სავსებით თავსდება მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის შემადგენლობებში. ხოლო „ორგანიზებული დანაშავეობის“ ცნება, დისკუსიაა არ არის. მაშასადამე, თუ არ არის ცნება, არ არის მოვლენაც.

ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ყველგან ორგანიზებული დანაშავეობა ესმით, როგორც ჯგუფური დანაშავეობა.

წარმოეს სტატისტიკა, თანაც საკმაოდ საგულდაგულოდ. და მოზარდთა ყოველი ჯგუფი, რომელმაც დააცარიელა რომელიღაც ბაღი, გვიზრდის სტატისტიკას, უკაცრაფლი პასუხია ასეთი „ორგანიზებული“ დანაშავეობით.

